საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-302225660**
თარიღი: **13/09/2022**

**ადრესატი:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

***ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს***

***თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს***

***ბატონო ბესიკ,***

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და 108-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. **პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი**

მოგახსენებთ რომ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს მომართა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი დუგლაძემ 2022 წლის 7 სექტემბრის N5/50425 წერილით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის: სოფელ სუფსაში მდებარე 204.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ არსებული 74.72 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.15.52.662), სოფელ აკეთში მდებარე 377.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 შენობა ნაგებობა (ს/კ 27.03.43.361)) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ. შემდგომში სახელმწიფოს მიერ, აღნიშნული ქონების ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 108-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება - სახელმწიფოს გადასცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, გარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი (განუსხვისებელი) ქონებისა. მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის განმარტებით, კი სახელმწიფოს მიერ მოთხოვნილი გადასაცემი უძრავი ქონება არ წარმოადგენს ძირითადი (განუსხვისებელი) კატეგორიის მქონე უძრავ ქონებას.

გთხოვთ წარმოდგენილი პროექტი განიხილოთ უმოკლეს პერიოდში,

საკრებულოს მომდევნო სხდომაზე და მიიღოთ დასაბუთებული გადაწყვეტილება, ვინაიდან საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 108-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნაწილის შესაბამისად, თუ საკრებულომ, სახელმწიფოს მიერ მოთხოვნის წარმოდგენიდან 45 დღის განმავლობაში არ მიიღო გადაწყვეტილება, მაშინ მოთხოვნილი ქონება სახელმწიფოსათვის გადაცემულ ქონებად ჩაითვლება და სახელმწიფო ქონებად დარეგისტრირდება.

**2. პროექტის ფინანსური დასაბუთება**

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

**3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი**

პროექტი მომზადებულია მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის ირაკლი ხუხუნაიშვილის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

**4. პროექტის წარმდგენი**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2022 წლის სექტემბერი
ქ. ლანჩხუთი

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და 108-ე მუხლის შესაბამისად,

**მუხლი 1.** დაკმაყოფილდეს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი დუგლაძის, 2022 წლის 7 სექტემბრის N5/50425 მომართვა - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის: სოფელ სუფსაში მდებარე 204.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ არსებული 74.72 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.15.52.662), სოფელ აკეთში მდებარე 377.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 შენობა ნაგებობა (ს/კ 27.03.43.361)) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში აღნიშნული ქონების ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური


წერილის ნომერი:**08-302225248**
თარიღი: **09/09/2022**

**ადრესატი:**

ალექსანდრე სარიშვილი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის

ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის

სამსახურის უფროსის ირაკლი ხუხუნაიშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ალექსანდრე,

2022 წლის 7 სექტემბერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი N 5/50425 რომელიც შეეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამბულატორიების კერძოდ: სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 204.00 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 74.72.კვ.მ შენობა ნაგებობა ს/კ 27.15.52.662. აკეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ აკეთში მდებარე 377.00 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N 1 შენობა ნაგებობა ს/კ 27.03.43.361 და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ქვიანში მდებარე 315.00კვ.მ აარასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 79.78 კვ.მ შენობა ნაგებობა ს/კ 27.04.50.282 უძრავი ქონებების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემას შემდგომში ააიპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით სიმბოლურ ფასად 1(ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით სადაც მოხდება ,,სოფლის ექიმის’’ კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების განხორცილება.

ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის 108 მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, მათ შორის, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (შენობა-ნაგებობებით ან მათ გარეშე), აგრეთვე წილები/აქციები (გარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი (განუსხვისებელი) ქონებისა) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცემა მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით.

გთხოვთ დაავალოთ ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს სათანადო პროექტის მომზადება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სესიაზე გასატანად.

პატივისცემით,

ირაკლი ხუხუნაიშვილი

ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური-ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი

KA021748368978222

# სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

# NATIONAL AGENCY OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:1420
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel:1420
info@nasp.gov.ge

**N5/50425**

07 / სექტემბერი / 2022 წ.

**შესაბამის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**ასლი: შესაბამის მუნიციპალიტეტის მერიას**

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შემოსულია ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის 01.09.2022 წლის N1000395 4 22 00264408 წერილი, რომელიც ეხება წერილის დანართით წარმოდგენილი უძრავი ქონების ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის საკითხს.

გიგზავნით კორესპონდენციას, გთხოვთ განიხილოთ დაინტერესებაში არსებული ქონების სახელმწიფოსათვის, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში, უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის საკითხი.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე

გიორგი დუგლაძე

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
**საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი**
GEORGIAN MEDICAL HOLDING

1000395 4 22 00264408 01/09/2022

სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს"

როგორც მოგეხსენებათ „2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის N4 დადგენილებით დამტკიცებული „პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ – ,,სოფლის ექიმის’’ კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების განმახორციელებლად 2022 წლის 1 მარტიდან განისაზღვრა ა(ა)იპ - „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“.

შესაბამისად, საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგმა განახორციელა სოფლის ამბულატორიული ქსელის ინფრასტრუქტურული მდგომარეობის ანალიზი საქართველოს ყველა რეგიონში.

1000-ზე მეტი სოფლის ამბულატორიის შეფასებამ აჩვენა, რომ ინფრასტრუქტურა ამორტიზებულია, შენობების უმრავლესობა სარემონტო და მოუწესრიგებელი, რის გამოც, ვფიქრობთ, რომ ვერ ხდება პაციენტებისათვის სათანადო სამედიცინო მომსახურების შესაბამისი სტანდარტის შეთავაზება, ხოლო სამედიცინო პერსონალისათვის სათანადო სამუშაო გარემოს შექმნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში თუ მოხდება სოფლის ამბულატორიების გადმოცემა საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის ბალანსზე, აღნიშნული დადებითად იმოქმედებს ,,სოფლის ექიმის’’ პროგრამის განხორციელებაზე. საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი ერთიანი მიდგომით დაიწყებს მუშაობას აბმულატორიების რეაბილიტაცია/მშენებლობისათვის. რათა ქვეყანაში გაუმჯობესდეს პირველადი ჯანდაცვის მიწოდების ხარისხი. აღნიშნულ მიდგომას ასევე იზიარებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (2022 წლის 18 ივლისის N MOH 0 22 00114172 წერილი).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოთ წარმოდგენილ დანართში მითითებული, მუნიციპალიტეტების საკუთრებაში არსებული სოფლის ამბულატორიების (უძრავი ქონების) ა(ა)იპ - „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის“( ს/ნ 402157330 ) უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში, პირდაპირი მიყიდვის ფორმით სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადმოცემა. ამასთან გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ - „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის“ მიერ საპრივატიზაციო საფასურის გადახდა განხორციელდება შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

დანართის სახით გიგზავნით მუნიციპალიტეტების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (სოფლის ამბულატორიების ) ჩამონათვალს საკადასტრო კოდების მითითებით და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილს (2022 წლის 18 ივლისის N MOH 0 22 00114172 წერილი).

გთხოვთ, თქვენს შემდგომ რეაგირებას.
დანართი: 1 ფურცელი და 1 Excel -ის ფაილი.
პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შთამბეჭდავია
ელექტრონულად

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
გვანცა გასვიანი

| ხულო | თემი | სოფელი | ამბულატორია/ მედ. პუნქტი | მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის საკადასტრო კოდი |
|---|---|---|---|---|
| ხულო | თხილვანა | თხილვანა | თხილვანა | 23.13.33.001 |
| ხულო | ფუშრუკაული | ფუშრუკაული | ფუშრუკაული | 23.09.31.001 |
| ხულო | აგარა | აგარა | აგარა | 23.04.31.001 |
| ხულო | რიყეტი | რიყეთი | რიყეთი | 23.01.36.005 |
| ქედა | ზვარე | სოფელი ზვარე, სოფელი ზესოფელი, სოფელი კვაშტა, სოფელი სირაბიძეები, | ზვარე | 21.06.32.003 |
| ქედა | პირველი მაისი | სოფელი პირველი მაისი, სოფელი ზედა აგარა, სოფელი ქვედა აგარა, სოფელი | პირველი მაისი | 21.02.32.003 |
| ქედა | წონიარისი | სოფელი წონიარისი, სოფელი ვარჯანისი, სოფელი ტიბეთა, სოფელი კანტაური, | წონიარისი | 21.07.32.003 |
| შუახევი | დღვანი | დღვანი | დღვანი | 24.05.33.002 |
| შუახევი | ზამლეთი | ფურტიო | ფურტიო | 24.01.37.001 |
| შუახევი | ოლადაური | ოლადაური | ოლადაური | 24.04.33.003 |
| შუახევი | შუბანი | დარჩიძეები | დარჩიძეები | 24.03.35.001 |
| შუახევი | წყალსაყარი | წყალსაყარი | წყალსაყარი | 24.09.34.001 |
| შუახევი | ჭვანა | ჭვანა | ჭვანა | 24.07.31.002 |
| ხელვაჩაური | ორთაბათუმი | სალიბაური | სალიბაური | 22.22.09.743 |
| ხელვაჩაური | მაჭახელა | აჭარისაღმართი | აჭარისარმართი | 22.33.08.013 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხელვაჩაური | ფერია | ახალშენის მეურნეობა | ფერია-სამების | 22.24.03.485.01.500 |
| ქობულეთი | ჩაისუბანი | ჩაისუბანი | ჩაისუბანი | 20.49.01.010 |
| ქობულეთი | ქაქუთი | ქაქუთი, აჭი, გოგმაჩაური, ნაცხავატევი | ქაქუთი | 20.31.01.017 |
| ოზურგეთი | კონჭკათი | კონჭკათი, განთიადი | კონჭკათი | 26.03.14.175 |
| ოზურგეთი | დაბა ნასაკირალი | დაბა ნასაკირალი | დაბა ნასაკირალი | 26.29.24.126 |
| ოზურგეთი | გურიანთა | გურიანთა, ციხისფერდი | გურიანთა | 26.06.25.408 |
| ოზურგეთი | ჭანიეთი | ჭანიეთი, ვაშტიალი, ქაქუთი | ჭანიეთი | 26.15.10.363 |
| ლანჩხუთი | აკეთი | ზემო აკეთი;ქვემო აკეთი;ჭანჭათი;გაგური. | აკეთი | 27.03.43.361 |
| ლანჩხუთი | | ქვიანი | ქვიანი | 27.04.50.282 |
| ლანჩხუთი | | სუფსა | სუფსა | 27.15.52.662 |
| ჩოხატაური | ერკეთი | ერკეთი | ერკეთი | 28.12.21.089 |
| ჩოხატაური | ვანზომლეთი | ვანზომლეთი | ვანზომლეთი | 28.07.22.462 |
| ჩოხატაური | ზემოსურები | ზემოსურები | ზემოსურები | 28.20.21.157 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჩოხატაური | კოხნარი | კოხნარი | კოხნარი | 28.15.24.053 |
| ჩოხატაური | ქვენობანი | ქვენობანი, ბასილეთი, ბუკნარი | ქვენობანი | 28.08.24.266 |
| ჩხოროწყუ | ჭოღი | ჭოღა | ჭოღა | 46.07.36.019 |
| ჩხოროწყუ | ნაკიანი | ნაკიანი | ნაკიანი | 46.14.34.093 |
| მესტია | უშგული | უშგული | ჩაჟაში | 42.01.33.003 |
| სენაკი | ნოსირი | ნოსირი | შუა ნოსირი | 44.02.26.370 |
| სენაკი | მენჯი | მენჯი | მენჯი, სოფ. ბათარია | 44.05.24.322 |
| სენაკი | ნოქალაქევი | ნოქალაქევი | ნოქალაქევი, სოფ. ჯიხა | 44.06.23.360 |
| ხობი | პატარა ფოთი | შავღელე | შავღელე | 45.08.25.074 |
| ზუგდიდი | ყულიშკარი/გრიგოლიში | ყულიშკარი,გრიგოლიში | ყულიშკარი | 43.07.42.769 |
| ამბროლაური | ხიდიკარი | კვაცხუთი/ხიმში | ხიდიკარი | 86.03.24.004 |
| ამბროლაური | ჭელიაღელე | ქვედა თლუღი/ზედა თლუღი/ჭელიაღელე/აგარა/უყეში | ზემო თლუღი | 86.12.27.001 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ლენტეხი | დაბა ლენტეხი | გულიდა/მელურა /კახურა/გიოშერი/ლექსურა/ლასკადურა/ლე | ბაბილი | 87.04.28.125 |
| ლენტეხი | დაბა ლენტეხი | გულიდა/მელურა /კახურა/გიოშერი/ლექსურა/ლასკადურა/ლე | გულიდა | 87.04.26.098 |
| ლენტეხი | დაბა ლენტეხი | გულიდა/მელურა /კახურა/გიოშერი/ლექსურა/ლასკადურა/ლე | ლეგვერალი | 87.04.22.151 |
| ლენტეხი | რცხმელური | რცხმელური/გვიმბრალა/ნაღომარი/ყვედრეში/ლაღარვაში | რცხმელური | 87.01.21.011 |
| ლენტეხი | ჩოლური | თეკალი/ჭველიერი/საყდარი/დურაში/ტვიბი/მამი/ფანაგა/ლეუშერი/ჭველფი/მუწდი/ბუ | თეკალი | 87.05.31.036 |
| ონი | შეუბანი/ღარი/კვაშხიეთი | წმენდაური/ღარი/ლაჩთა/ჭალა/ხურუთი/კომანდელი/შეუბანი/ნიგვზნარა/წოლა/სხიერი | ნიგვზნარა | 88.13.29.374 |
| ონი | შეუბანი/ღარი/კვაშხიეთი | წმენდაური/ღარი/ლაჩთა/ჭალა/ხურუთი/კომანდელი/შეუბანი/ნიგვზნარა/წოლა/სხიერი | ღარი | 88.11.22.248 |
| ცაგერი | ორბელი/ლასურიაში | ლაჯანა/გაგულეჩი/კურცობი/ორბელი/წილამიერი/სუნანიერი/ლესინდი | ორბელი | 89.04.25.222 |
| ცაგერი | სპათაგორი | ლაცორია/ლეშკედა/სპათაგორი | სპათაგორი | 89.04.22.004 |
| ცაგერი | ჩხუტელი | ლასხანა/ჩხუტელი/დოღურაში | ჩხუტელი | 89.02.32.070 |
| ბაღდათი | დიმი | დიმი, საიმედო | დიმი | 30.07.40.150 |
| ბაღდათი | ზეგანი/საკრაულა | ქვედა ზეგანი, ზედა ზეგანი, ნებიერეთი, წიფა, საკრაულა | ზეგანი | 30.15.37.574 |
| ბაღდათი | პირველი ობჩა | 1 ობჩა | პირველი ობჩა | 30.08.31.046 |
| ბაღდათი | როხი | როხი | როხი | 30.04.35.518 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბაღდათი | ფერსათი/როკითი | ფერსათი, შუბანი, როკითი, დიდველა | როკითი | 30.06.38.015 |
| ბაღდათი | წითელხევი | წითელხევი | წითელხევი | 30.13.32.027 |
| ბაღდათი | ხანი | ხანი, კაკასხიდი, ზეკარი | ხანი | 30.19.33.009 |
| ზესტაფონი | ზოვრეთი | ზოვრეთი | ზოვრეთი | 32.04.32.029 |
| ზესტაფონი | ილემი | ზედა ილემი, ქვედა ილემი | ილემი | 32.17.36.132 |
| ზესტაფონი | კვალითი | ქვედა კვალითი, შუა კვალითი | კვალიათი | 32.12.37.148 |
| ზესტაფონი | მეორე სვირი | მეორე სვირი, სადგურ სვირი | მეორე სვირი | 32.02.50.041 |
| ზესტაფონი | ცხრაწყარო | ცხრაწყარო, ძლოურდანეთი, ზედა კვალითი | ცხრაწყარო | 32.13.34.103 |
| ტყიბული | კურსები | გელათი, კურსები, მოწამეთა | გელათი | 39.07.28.091 |
| ტყიბული | კურსები | გელათი, კურსები, მოწამეთა | კურსები | 39.07.27.078 |
| ტყიბული | ორპირი | ორპირი, ზედა ჭყეპი, კოკა, ლაფეთი, მანდიკორი, ნაბოსლევი, ოხომირა, ქვედა | ორპირი | 39.05.21.044 |
| ტყიბული | სოჩხეთი | სოჩხეთი, ძმუისი, წყნორი | სოჩხეთი | 39.10.23.020 |
| ტყიბული | ხრესილი | ხრესილი, ახალდაბა, ბუეთი, გადაღმა წყალწითელა, გადმოღმა წყალწითელა, | ხრესილი | 39.04.24.025 |
| ტყიბული | ჯვარისა | ჯვარისა, ლაშია, ლეყერეთი, ოჯოლა, ხორჩანა | ჯვარისა | 39.08.26.017 |
| ხარაგაული | ზვარე | ზვარე, ჩრდილი, ნუნისი | ზვარე | 36.18.32.467 |
| ხარაგაული | წიფი | წიფი, გოლათუბანი, გუდათუბანი, ფონა | წიფა | 36.19.32.065 |
| ხარაგაული | წყალაფორეთი | წყალაფორეთი, ხონი, ლახუნდარა, პატარა ვარძია, ჩალხაეთი | წყალფორეთ ი | 36.12.36.697 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხონი | გორდი/კინჩხა | ქვედა გორდი, ზანგვეთი, გამოღმა ნოღა, გაღმა ნოღა, ზედა გორდი, ქვედა კინჩხა, | გორდი | 37.02.31.045 |
| ხონი | გუბი | დიდი გუბი,პატარა გუბი, შუა გუბი | გუბი | 37.12.31.034 |
| ხონი | ივანდიდი | ივანდიდი | ივანდიდი | 37.08.35.063 |
| ხონი | ნახახულევი | ნახახულევი, ახალზედისეული, კონტუათი, საწულუკიძეო, უძლოური | საწულიკიძე ო | 37.05.37.099 |
| ხონი | ნახახულევი | ნახახულევი, ახალზედისეული, კონტუათი, საწულუკიძეო, უძლოური | ახალზედისე ული | 37.05.40.110 |
| ხონი | ქუტირი | ქუტირი, გვაზოური, პატარა ჯიხაიში | ქუტირი | 37.10.38.042 |
| ხონი | მათხოჯი | მათხოჯი, ლეფილე, სუხჩა, ხიდი | მათხოჯი | 37.04.33.024 |
| თერჯოლა | რუფოთი | რუფოთი, ტელეფა | რუფოთი | 33.11.32.281 |
| თერჯოლა | ქვემო სვიმონეთი | ქვედა სიმონეთი | ქვედა სიმონეთი | 33.05.34.002.01.500 |
| ადიგენი | არალი | არალი,წარზასთუმანი | არალი | 61.13.29.001 |
| ადიგენი | ჩორჩანი | დიდი სმადა,პატარა სმადა,ჩორჩანი | დიდი სმადა | 61.07.24.592 |
| ახალციხე | მინაძე | მინაძე,ღრელი,ჭაჭარაქი | ღრელი | 62.10.53.096 |
| ბორჯომი | ბალანთა | ჭიხარულა | ბალანთა | 64.32.04.235 |
| ბორჯომი | დვირი | დვირი, ქვაბისხევი. | დვირი | 64.24.05.028 |
| ბორჯომი | ტაბაწყური | ტაბაწყური, | ტაბაწყური | 64.31.04.397 |
| ბორჯომი | ტაძრისი | საკირე. | ტაძრისი | 64.28.02.005 |
| ბორჯომი | ტბა | ტბა, ცემი, ლიბანი, სადგერი. | ტბა | 64.25.02.944 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | ყვიბისი | ყვიბისი | ყვიბისი | 64.22.07.388 |
| ბორჯომი | ციხისჯვარი | ციხისჯვარი | ციხისჯვარი | 64.29.03.235 |
| ნინოწმინდა | განძა | საღამო | განძა | 65.06.32.215 |
| ნინოწმინდა | გონდრიო | დილითი, მამწვარა. | მამწვარი | 65.10.41.264 |
| ნინოწმინდა | ხანჩალი | დიდი ხანჩალი | ხანჩალი | 65.14.36.689 |
| ასპინძა | ტოლოში/აწყვიტა | აწყვიტა. | აწყვიტა | 60.08.32.217 |
| ასპინძა | დამალა | დამალა | დამალა | 60.03.32.169 |
| ასპინძა | ნაქალაქევი | ნაქალაქევი,ფია, ვარძია, ზემო ვარძია. | ნაქალაქევი | 60.10.33.279 |
| ასპინძა | ხიზაბავრა | ხიზაბავრა, სარო, ნიჯგორი | ნიჯგორი | 60.11.31.152 |
| ასპინძა | ოთა | ოთა | ოთა | 60.02.31.626 |
| ასპინძა | იდუმალა/რუსთავი | ოშორა | ოშორა | 60.04.32.405 |
| ასპინძა | იდუმალა/რუსთავი | რუსთავი | რუსთავი | 60.05.32.062 |
| ასპინძა | ძველი/ორგორა | ძველი | ძველი | 60.06.31.166 |
| ასპინძა | ძველი/ორგორა | ძველი, ჭობარეთი, საყუდაბელი, ორგორა. | ჭობარეთი | 60.06.33.043 |
| ასპინძა | ხიზაბავრა | ხიზაბავრა, სარო, ნიჯგორი | ხიზაბავრა | 60.11.34.178 |
| ახალქალაქი | დილისკა | დილისკა | დილისკა | 63.14.35.092 |
| ახალქალაქი | არაგვა | თოთხამი, მაჯადია | მაჯადია | 63.10.49.110 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ახალქალაქი | აზავრეთი/ტურცხი | ლომატურცხი,ტურცხი | ღადოლარი | 63.02.37.130 |
| კასპი | აღაიანი | აღაიანი, საქადაგიანო, ხიდისყური | აღაიანი | 67.07.35.412 |
| კასპი | ახალქალაქი | ახალქალაქი, გარიყულა, რკონიზემო ჩოჩეთი, ერთაწმინდა,გოსტიბე, ჩაჩაზეთი, | ახალქალაქი | 67.17.36.263 |
| კასპი | დოესი | დოესი, გრაკლი | დოესი | 67.14.38.344 |
| კასპი | კავთისხევი/წინარეხი | შუაუბანი, ციხისუბანი, თვალადი, ეზატი, გუდალეთი, მირიანი, წინარეხი... | ქვემო ჩოჩეთი | 67.08.33.369 |
| ხაშური | წაღვლი | წაღვლი | ბროლოსანი | 69.12.55.421 |
| ხაშური | წრომი | წრომი, ახალშენი, ნადარბაზევი, იმერლიანთკარი, დიდი, ხავლეთი, დიდი | წრომი | 69.13.55.445 |
| დუშეთი | ანანური/ჭართალი | ანანური, ციხისსოფელი, ცივწყარო, ქაისხევი, დგნალი, ჭივილაანი, პავლეური, | ანანური | 71.55.07.227 |
| დუშეთი | ბაზალეთი | ბაგა, ბაზალეთი, გრიგოლაანთკარი, მლაშე, ლაზვიანი, ნაგლიაანთკარი, საკრამული, | ბაზალეთი | 71.56.08.276 |
| დუშეთი | დაბა ჟინვალი | არანისი, ბზიკურთკარი, ბიჩნიგაურები, ბოდავი, გუდრუხი, ეთვალისი, ზემო ხორხი, | ჟინვალი | 71.52.03.146 |
| დუშეთი | დაბა ფასანაური | დაბა ასანაური, ცხვედიეთი, ბანცური, ზემო ამირთა, ვეშაგურნი, ჩირიკი, ხამუშა, | ფასანაური | 71.53.07.007 |
| დუშეთი | უკანაფშავი | უძილაურთა, თხილიანა, შუაფხო, გოგოლაურთა, ცაბაურთა, მუქო, მათურა, | შუაფხო | 71.67.01.021 |
| მცხეთა | ქსანი | სოფ. ქსანი | სოფ. ქსანი | 72.10.05.094 |
| მცხეთა | ციხისძირი | სოფ. ციხისძირი | სოფ. ციხისძირი | 72.10.03.321 |
| მცხეთა | ქსოვრისი | სოფლები: ქსოვრისი, ვარდისუბანი | სოფ. ქსოვრისი | 72.01.03.053 |
| მცხეთა | წილკანი | სოფლები: წილკანი, ერედა | სოფ. წილკნის | 72.02.41.237 |
| მცხეთა | საგურამო | სოფლები: საგურამო, ახალსოფელი, შანკევანი, წიწამური, არაშენდა | სოფ. საგურამო | 72.06.03.034.064 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მცხეთა | გალავანი | სოფლები: გალავანი, წინამძღვრიანთკარი, ზაქარო | გალავანი | 72.04.23.303 |
| მცხეთა | ლისი | სოფლები: ლისი, წოდორეთი, ბევრეთი, ტაბარუკი, ლელობი, ძალაანთხევი, | სოფ. ლისი | 72.16.21.152 |
| ბოლნისი | ნახიდური/თამარისი | ფარიზი/ნახიდური | ნახიდური | 80.02.63.698 |
| დმანისი | გუგუთი/საკირე/მაშავერა | გუგუთი/კამიშლო/ლოქჯანდარი/გორა/მაშავერა/უკანგორა | გუგუთი | 82.02.42.228 |
| დმანისი | დიდი დმანისი | დიდი /დმანისი/ვარდისუბანი/ბოსლები/პატარა | ვარდისუბანი | 82.12.47.343 |
| დმანისი | ირგანჩაი | ირგანჩაი | ირგანჩაი | 82.03.41.202 |
| თეთრიწყარო | ახალსოფელი | ახალსოფელი გოხნარი, ზირბითი, საუძვრები. | ახალსოფელი | 84.16.33.031 |
| თეთრიწყარო | შეხვეტილა/დაბა მანგლისი/ორბეთი | ორბეთი, ახ. ზირბითი, წვერი, ამლივი, ღოლოვანი, დრე, შამთა, ვანათი, ღვევი, | ორბეთი | 84.20.35.156 |
| მარნეული | | ოფრეთი | ოფრეთი | 83.15.01.466 |
| წალკა | სამება | სამება | სამება | 85.27.22.207 |
| გარდაბანი | ახალსოფელი | საცხენისი | საცხენისი | 81.11.01.573 |
| გარდაბანი | ახალი სამგორი | ახალი სამგორი | ახალი სამგორი | 81.13.16.244 |
| ახმეტა | ხალაწანი | ზემო ხალაწანი, ქვემო ხალაწანი, შუა ხალაწანი, ომალო, ,დუმასტური | ომალო | 50.07.33.347 |
| ახმეტა | მატანი | მატანი | მატანი | 50.11.38.211 |
| ახმეტა | შახვეტილა | შახვეტილა, ჭართალა, საბუე, ნადუქნარი, ჯაბური, ბუხრები, ვეძები | შახვეტილა | 50.13.32.327 |
| გურჯაანი | ჩუმლაყი | ყიტაანი | ყიტაანი | 51.09.55.079 |
| დედოფლისწყარო | გამარჯვება | გამარჯვება | გამარჯვება | 52.05.32.134 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დედოფლისწყა რო | ფიროსმანი | ფიროსმანი | ფიროსმანი | 52.12.35.000.041 |
| დედოფლისწყა რო | ქვემო ქედი | ქვემო ქედი | ქვემო ქედი | 52.11.32.142 |
| თელავი | შალაური | შალაური | შალაური | 53.06.41.037 |
| თელავი | სანიორე/ნაფარეული/ართანა | სანიორე/ნაფარეული/ართანა | ართანა | 53.15.34.286 |
| ლაგოდეხი | აფენი | ბაღდადი, ონანაური, ზემო ნაშოვარი, ქვემო ნაშოვარი | აფენი | 54.13.51.421 |
| ლაგოდეხი | აფენი | არეშფერანი,ქევხიანი, ხოშატიანი, ზემო ბოლქვი, ქვემო ბოლქვი | არეშფერანი | 54.15.52.445 |
| ლაგოდეხი | ჭიაური | თამარიანი, წითელიგორა | თამარიანი | 54.06.51.324 |
| ლაგოდეხი | კართუბანი | მაწიმი, რაჭისუბანი, | კართუბანი | 54.08.59.000.219 |
| ლაგოდეხი | შრომა/მაწიმი | მაწიმი, რაჭისუბანი, კავშირი | მაწიმი | 54.02.51.677 |
| საგარეჯო | პატარძეული | პატარძეული | პატარძეული | 55.14.66.000.085 |
| საგარეჯო | გიორგიწმინდა | გიორგიწმინდა, ანთოკი, მარიამჯვარი | გიორგიწმინდა | 55.11.67.000.189 |
| საგარეჯო | უდაბნო | უდაბნო | უდაბნო | 55.20.51.000.171 |
| სიღნაღი | ქვემო მაჩხაანი | ხორნაბუჯი, ყარაღაჯი | ხორნაბუჯი | 56.20.51.005.01.500 (სადარბაზო 1 , სართული 2 ) |

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

MOH 1 22 00114984 18/07/2022

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“-ს

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს

ბატონ ლადო შელიას

**ბატონო ლადო,**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განიხილა თქვენი წერილი (№ 1000395 4 22 00099628 12.07.22), რომელიც ეხება ამბულატორიების გადმოცემის საკითხს.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს არ აქვს წინააღმდეგობრივი პოზიცია, რათა ,,სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში არსებული ამბულატორიები გადმოეცეს ბალანსზე, ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგ“-ს, შემდგომში მათი ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

**პატივისცემით,**